ვამტკიცებ
ბრძ. N01-51; 08. XII.2017წ
შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
_____ ი. მანაშერიძე
ცვლილება
დირექტორის ბრძ. N01-09; 15.02.2018 წ

საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვა

საკონტაქტო: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8
ელ.ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge

ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: *ლიანა ბინიაშვილი*

თბილისი

2017 წ.

1. **სახელწოდება** - ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting

2. **სარეგისტრაციო ნომერი -** რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა-04114-პ

3. **პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Fifth level vocational qualification inAccounting (020156)

   განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“ (კოდი 0411).

4. **მიზანი**
   პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები -** სრული ზოგადი განათლება

6. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები**
   ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

7. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
   სტუდენტებისთვის რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **მოცულობა შეადგენს 99 კრედიტს** და სწავლის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე (66 კვირა).

   მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და **მოცულობა შეადგენს 129 კრედიტს**, სწავლის ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე (24+66=90 კვირა);

არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

8. სტრუქტურა და მოდულები

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამა მოიცავს მეხუთე დონის კვალიფიკაციას. მოცემულია ზოგადი 3 მოდული 11 ჯამური კრედიტების რაოდენობით და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი 16 მოდული 88 ჯამური კრედიტების რაოდენობით, სულ 99 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ ნაწილში - პრაქტიკის კომპონენტს 90%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 10%.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	7
2	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	სრული ზოგადი განათლება	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	სრული ზოგადი განათლება	5
5	საგადასახადო დეკლარირება	სრული ზოგადი განათლება	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	სრული ზოგადი განათლება	4
7	ინვენტარიზაცია	სრული ზოგადი განათლება	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	მოდული: კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	მოდული: სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	სრული ზოგადი განათლება	8
11	Ms Excel	მოდული: ინფორმაციული წიგნიერება 2	6

12	ბიზნეს ინგლისური	სრული ზოგადი განათლება	5
13	აუდიტის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	2
14	ეკონომიკური ანალიზი	სრული ზოგადი განათლება	5
15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	სრული ზოგადი განათლება	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	სრული ზოგადი განათლება	6

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო პროგრამა, შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" მიერ, შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენ ებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

12.პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პარტნიორი ორგანიზაციები:

1. ლუკა პაჩიოლის საბუღალტრო ცენტრი შპს „ფოლოუმი“; ხელშეკრ. N03-16; 20.11.2017წ.

15. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტები:
  1. ბუღალტრის პროფესიული სტანდარტი;
  2. ბუღალტერ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი.

16. დანართი №1 - **სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.**

17. დანართი N2 **-სასწავლო გეგმა;**

18. დანართი N 3- **ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ:**

NN	სახელი, გვარი	მოდული, რომელსაც ახორციელებს	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1	ლიანა ბინიაშვილი	მეწარმეობა 3; გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება;	ფინანსისტ-ეკონომისტი; ინდ. მეწარმე.	

		სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა; ფინანსური ანგარიშგების შედგენა; პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება.		
2	ალექსანდრე კეკენაძე	ინფორმაციული წიგნიერება 2; Ms Excel	ინჟინერიის დოქტორი	
3	ცოტნე ქორჩილავა	ინფორმაციული წიგნიერება 2; Ms Excel	სტუ-კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების მაგისტრანტი; ინფორმატიკის ბაკალავრი;	
4	ანი ტუღუში	ინფორმაციული წიგნიერება 2; Ms Excel	ელექტრონული ინჟინერი	
5	თინათინ კახნიაშვილი	ინგლისური ენა ბიზნეს ინგლისური	თარჯიმან-რეფერენტი	
6	სოფიო კაკურიძე	ინგლისური ენა ბიზნეს ინგლისური	განათლების (მართვის) მაგისტრი; ინგლისური ენის ფილოლოგი.	
7	ირინე გეწაძე	ინგლისური ენა ბიზნესინგლისური	ინგლისური ენის ფილოლოგი	
8	ხატია ჭონქაძე	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება; სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა; კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა; ფინანსური ანგარიშგების შედგენა; პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება.	მათემატიკის ბაკალავრი, პროფესიული გამოცდილებით.	
9	ალექსანდრე ალიმბარაშვილი	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა; საგადასახადო დეკლარირება; სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები; ინვენტარიზაცია; ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით; მმართველობითი აღრიცხვა; აუდიტის საფუძვლები; ეკონომიკური ანალიზი;	სტუ; საქართველოს მეცნიერებატა აკადემიასთან არსებული თბილისის ეკონომიკის ინსტიტუტი; პროფესიული გამოცდილებით.	

		პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება.		
10	ლალი გილიგაშვილი	ქართული ენა A2; ქართული ენა B1;	ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.	

19. XVI. მოდულები

(დანართი 4) –მეწარმეობა 3;
(დანართი 5)- ინფორმაციული წიგნიერება 2;
(დანართი 6)- ინგლისური ენა;
(დანართი 7)– გაცნობითი პრაქტიკა -ბუღალტრული აღრიცხვა;
(დანართი 8) –ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;
(დანართი 9) - ბიზნეს ინგლისური
(დანართი 10)–ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება
(დანართი 11)-Ms Excel
(დანართი 12) - საგადასახადო დეკლარირება;
(დანართი 13)-სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა;
(დანართი 14)– კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა;
(დანართი 15)- ფინანსური ანგარიშგების შედგენა;
(დანართი 16)- სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები;
(დანართი 17)– ინვენტარიზაცია;
(დანართი 18)-ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით;
(დანართი 19)- მმართველობითი აღრიცხვა;
(დანართი 20)- აუდიტის საფუძვლები;
(დანართი21) -ეკონომიკური ანალიზი;
(დანართი22) - პრაქტიკული პროექტი -ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება.
(დანართი23) – ქართული ენა A2;
(დანართი24) – ქართული ენა B1;